№ 58 16 მარტი, პარასკევი 1866—1879 16 მარტი, პარასკევი № 58

**რედაქცია:** სოლოლაკზე, ბაღის ქუჩაზე, ბ. შადინოვის სახლში, № 33.

**ხელის-მოწერა** მიიღება რედაქციაში, გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроеба“.

**გაზეთის ფასი:** მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—5 მან., სამის თვის—3 მან., ერთის თვისა—1 მან.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

# დროება

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

**ფასი განცხადებისა:** დიდი ასოებით ასოზე—1 კაპ., [illegible] სტრიქონზე—8 კაპ., [illegible] ცერთი—5 კაპ., პატარათი—4 კაპ.

**რედაქციას უფლება** აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

## ტელეგრამმები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

**ვეტლიანკა, 12 მარტს.** გრაფ ლორის-მელიქოვმა ორი საათი დაჰყო ვეტლიანკაში და შემდეგ მდ. ვოლგით წავიდა ზევით.

**ცეტინიე, 12 მარტს.** დღეს ღამით გარდაიცვალა ჩერნოგორიის მთავრის ნიკოლაის და.

**ბელგრადი, 12 მარტს.** სერბიის ელჩად ვენაში მილოიკოვიჩი ინიშნება. მასილიევიჩი სამსახურიდამ გამოდის.

**პეტერბურღი, 13 მარტს.** შეფ-ჟანდარმს ღენ. დრენტელნს ორჯერ ესროლა დღეს ვიღამაც რევოლვერი, როდესაც ქუჩაზე მიდიოდა. ღენ. დრენტელნი დაჭრილი არ არის. მსროლელი დაიმალა.

**ვენა, 12 მარტს.** „პოლიტიკურს კორრესპონდენციაში“ იწერებიან: ამბობენ, ინგლისის ფლოტს ბრძანება მოუვიდა, რომ სანამ რუსის ჯარები სრულიად არ გავლენ ბალკანიდამ, მანამ ე. ი. მაისამდინ უნდა დარჩეს ბეზიყის ნავსადგურში.

**პეტერბურღი, 14 მარტს.** ხელმწიფე და იმის სახლობა აპრილის 6-მდინ აღარ მიდის ლივადიაში.

გაზეთს „გოლოსს“ სწერენ ხარკოვიდამ: აქ დაიჭირეს ერთი კაცი, რომელიც გამოტყდა, რომ იმან თ. კრაპოტკინის მოკვლაში მიიღო მონაწილეობა. დღეს მოვიდა აქ ახალი ღუბერნატორი უფ. ვალი.

**პეტერბურღის ბირჟა, 14 მარტს.**

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

| ბანკის ბილეთები: | მან. კაპ. |
|---|---|
| პირველი გამოცემის — — | 96—62 |
| მეორე — — — — — — | 96—50 |
| მესამესი — — — — | 95—62 |
| მეოთხესი — — — — | 95—75 |
| აღმოსავლეთის პირ. — | 93—50 |
| აღმოსავლეთის მეორე — | 93—75 |
| ოქრო, 1/2 იმპერიალი — | 8—40 |
| ტფილ. თავად-აზნ. ბანკის გირაოს ფურცელი — — — | — |
| შინაგანი 5% სესხის ბილეთები | მან. კაპ. |
| პირველი სესხის — — | 237—55 |
| მეორე სესხის — — — | 234—50 |

1 მანეთი ღირს:

| | | |
|---|---|---|
| ლონდონი — — | 23—37 | პენსი |
| ამსტერდამი — — | — | „ ცენტი |
| ბერლინი — — — | 199 | პფენიგი |
| პარიჟი — — — | 246 | სანტიმი |
| კავკასიის კერასინი | — „ | — „ |

## საქართველო

### დღიური

*** ქუთაისიდამ გვწერენ, რომ ურიების გამართლებაზე ბევრს არ ეჭაშნიკაო.. ჩვენი კორრესპონდენტის სიტყვით, ამ გვარ ხმებს არავითარი საფუძველი არა აქვს; ბრალდებულები გაამართლეს იმიტომ რომ იმათ გასამტყუნებლად ვერც ერთი რიგიანი საფუძველი ვერ ნახეს....

*** ქუთაისიდამვე გვაცნობებენ, რომ ახლად-მიცვალებულის ბესარიონ ღოღობერიძის დასაფლავებაზედ, რამდენიმე საპატიო პირი ჩამოვიდა თფილისიდამაო და ამას გარდა თითქმის მთელი ქვემო-იმერეთი დაესწრება ამ დროსაო. დასაფლავება უნდა მომხდარიყო გუშინ, ხუთშაბათს, სოფ. ჯიხაიშში.

*** 12 მარტის სხდომაზედ ქალაქის რჩევამ აირჩია განსაკუთრებული კამისია, რომელმანც უნდა იზრუნოს რიყის გაჭირვებულ მცხოვრებლებზე, რომელთაც ცეცხლის დროს დაეწვათ თავიანთი სახლკარი და ქონება. ამ კომისიაში ამორჩეული არიან: თ. ხოჯამინასოვი, უფ. ფითუაშვილი და ს. ბ. ზარაფოვი.

რჩევამ გადაწყვიტა აგრეთვე, რომ ამ გადამწვარ ხალხის სასარგებლოდ 1,000

## ფელეტონი

### ორიოდე სიტყვა სტატიებზე: „ფიქრი და შენიშვნა“ და „სხარტულა“ („ივერია“, № 2 1879).

V.

„სხარტულის“ დამწერი უფრო ყოჩაღია. „ალმანახში“ დაბეჭდილ „ჟორჟ დანდენის“ ერთი მოქმედი პირი სხვათა შორის ამბობს:

„მინდა ცოტად მაინც ვინანო დიდკაცობა.“ (44 გვ. „ალმ.“) ეს კორრექტურული შეცდომა გასწორებულია იმავ წიგნში შემდეგ გვარად: „მინდა ცოტად მაინც ვნახო დიდ-კაცობა.“

მაგრამ ეს გასწორება დაივიწყა „სხარტულის“ დამწერმა და დაცინვით ყვირის: „რა უნდა იყოს „ვინანოო“? ვერც ძველ ქართულად გვითარგმნია ეს და ვერც რუსულად.“ (178 გვ. „ივ.“)

V

იმავ პიესაში მეორე მოქმედი პირი ეუბნება ჟორჟ დანდენს:

„მართალია, ჩემო სიძევ, თქვენი ცოლია (ჩემი ქალიო). მაგრამ ნება არა გაქვთ იმას „ესე დაუძახოთ.“

ამ სიტყვებს სხარტულის დამწერი კითხულობს შემდეგ გვარად:

„მართალია, ჩემო სიძევ. თქვენი ცოლია, მაგრამ ნება არა გაქვთ იმას „ეს“ დაუძახოთ.“

და ამასთანავე უკვირს ჩემ კრიტიკოსს: „ეს“ რა არისო?“ (176 გვ. „ივ.)

რა მოგახსენოთ, მე „ეს“ არ მითქვამს. ეგ შეცდომა თქვენგნით ძალად არის მოგონილი, რადგან ვერ გიპოვნიათ ნამდვილი შეცდომები ჩემ მრავალ ცოდვილ წიგნში.

VI

ამგვარადვე „სხარტულის“ დამწერი ძალად მათქმევინებს შემდეგ სიტყვებს:

„რა გარემოება აკვლევინებს თავს საპყრობილეში ახალგაზდას შეძლებულ განათლებულ კაცს?“ (188 გვ. „ივ.“)

და უკვირს რად დავწერე „ახალგაზდას,“ როდესაც მე არ დამიწერია ეს სიტყვა ამგვარად. მე ჩემ წიგნში ვამბობ:

„რა გარემოება აკვლევინებს თავს საპყრობილეში ახალგაზდა, შეძლებულ, განათლებულ კაცს.“ (49 გვ. „ალმ.“).

ცოცხალი ქორი თუ გნებავთ, ეს არის!

VII

მე ჩემ სტატიაში: „ეხლანდელ ქართულ ჟურნალ-გაზეთობის მიმართუ-

მანეთი გადადვას ქალაქის ხაზინიდამ.

*** კავკასიის საინტენდანტოს უფროსად, ღენ.-მაიორის ლიმანოვსკის მაგივრად, როგორც ოფიციალური გაზეთი „კავკაზი“ გვაცნობებს, დანიშნულია ღენ.-ლეიტენანტი პიკგორსტი.

*** ამ რამდენიმე დღის წინათ, როგორც გვაცნობებენ, აბანოებთან მოუკლავთ ერთი ვიღაც ქართველი. ეს პირველი მაგალითი არ არის, რომ ჩვენს აბანოებთან ხალხს ჰკლავენო და სცარცვენ; ყველამ იცის აგრეთვე, რომ რაც თფილისში ავაზაკი ხალხია, ამ აბანოებთან ბუდობენ; ყველამ იცის, მაგრამ გასაკვირველი ეს არის, რომ ამ გარემოებას ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ...

*** უფ. დ. ზ. ბაქრაძე, რომელიც, როგორც მოგეხსენებათ, დანიშნულია ბათუმში იმ კომისიის თავსმჯდომარედ, რომელსაც იქაური ადგილ-მამულის და საზოგადოთ უძრავის მამულის გამოკვლევა აქვს მინდობილი, ამ დღეებში წავიდა ბათუმში.

# სამართალი

## ურიების საქმე

ქუთაისის ოლქის სასამართლოში

სხდომა 11 მარტს, დილით.

სხდომა დანიშნული იყო დილის 10 საათისათვის; მაგრამ რადგან ყველამ იცოდა, რომ დღეს პრენიები, გამობაასება უნდა ყოფილიყო მოწინააღმდეგე მხარეებს შუა, ამის გამო დილის 8 საათიდამ მოაწყდა ხალხი სასამართლოს ზალას. უველა დასაჯდომი ალაგები ქალებმა „დაიპყრეს“, და ამ ქალებში უპირატესი ადგილი პროკურორების, სასამართლოს თავსმჯდომარეების, ჩლენებისა, მომრიგებელ მოსამართლეებისა და გამომძიებლების ცოლებსა, დებსა და ნათესავებს ერგოთ. დიდი აყალ-მაყალი, დავი-დარაბა ატყდა და ბევრი მკვახე სიტყვები დაიხარჯა ქალებს შუა ადგილების დაჭერის თაობაზე... ამბობდნენ, ურიების პროცესის შემდეგ ქალების პროცესსები დაიწყებაო, რამდენიმე ქალი გალანძღული და შეურაცხყოფილი შეიქნაო და სხვ.

უველას უნდოდა გაეგონა ჩრდილოეთით გადმოფრენილი ადვოკატების— ალექსანდროვისა და პუპერნიკის—სიტყვა. უველა თითქმის დარწმუნებული იყო იმაში, რომ პროკურორი თავის მჭევრ-მეტყველებით ვერავის ვერ გააკვირვებს: ამ დალოცვილმა უფ. ლიდოვმა წინა დღითვე თითქმის სახალხოთ გამოუცხადა ებრაელების დამცველთ: თქვენ ოთხი ხართ, მე ერთიო, მე სრულებით არა ვარ რიგიანად მომზადებული თქვენ საწინააღმდეგოთ, ვიცი, რომ გამპენტავთო და სხვ. და სხვ.

ბევრი ლამაზი ქალები იყვნენ კრებაზე; ამათში ყველას ყურადღება, განსაკუთრებით უცხო ქვეყნელებისა, დაიმსახურეს: კნ. ნ. ჩოლაყაშვილისამ, მაჩაბლისამ, აბაშიძისამ, ლორთქიფანიძისამ, მ. ლოლაზერიძისამ და სხვ.

სწორეთ თერთმეტ საათზე მეორედ დარეკეს ზარი და მოსამართლეებმა შემოალეს ზალის კარები.

თავსმჯდომარემ გამოაცხადა, რომ პირველი სიტყვა ეკუთვნის უფ. პროკურორს.

**პროკურორის უფ. ლიდოვის სიტყვა.** უფ. მოსამართლენო! ამ სასამართლოში მომხდარმა გამოძიებამ და მოწმეების ჩვენებამ, თუმცა ცდილობდნენ ამ მოწმეების დაბნევას, მე კიდევ უფრო დამარწმუნა, რომ ბრალდებულნი დამნაშავენი არიან; ამ გამოძიებით კიდევ უფრო ცხადათ დამტკიცდა პირველი გამოძიებისაგან მოყვანილი ფაქტები და ამას გარდა ამ ფაქტებს ზოგიერთი სხვა ახალი გამამტყუვნებელი გარემოებაც მოემატა.

„პირ-და-პირ შეუდგები საქმეს... ბრალდებულნი: ბიჭია, ისააკ და ისაკა ხუბაშვილები, ისააკ, მოშე და იაკობა წვენიაშვილები და შამუელ არონაშვილი მტყუნდებიან იმაში, რომ 4 აპრილს 1878 წელს შორაპნის უეზდის სოფ. პერევისაში მოიტაცეს გლეხის იოსებ მოდებაძის 6 წლის ქალი—სარრა, ჩასვეს ის ხურჯინში, ამნაირად წაიყვანეს დაბა საჩხერეს, სადაც ორი ღამე და ერთი დღე ჰყავდათ უკანონოთ დაჭერილი და ამის გამო ის ქალი მოკვდა; საჩხერის მცხოვრები მოშე ცოციაშვილი მტყუვნდება იმაში, რომ ერთს ვიღაც უცნობ პირთან ერთად წამოიღო უკან მკვდარის სარრა მოდებაძის ქალი და დააგდო პერევისის მახლობლად სოფ. დარბაიძესთან, და აპრამ მღვიკაშვილს ბრალდება ის, რომ იმან იცოდა ეს დანაშაული და თავის დროზე არ აცნობა მთავრობას...

„4 აპრილს 1878 წელს სარრა მოდებაძისა და იმის უფროსი და მაია წავიდნენ თავის მეზობელთან იოსებ ცხადაძესთან უმარილის დასაწვავად. ამას ყველა მოწმეები აჩვენებენ. იმავე დროს იმ ადგილას ჩაიარეს ურიებმა. ამასაც აგრეთვე ყველა მოწმეები ამტკიცებენ. სამხრობისას სარრა წავიდა ცხადაძიდგან და მერე აღარ დაბრუნებულა... (ამ სიტყვების შემდეგ პროკურორი შეჩერდა და რადგან დიდ ხანს ვერ ამოიღო ხმა, თავსმჯდომარე სასამართლოისა წამოდგა და უნდოდა სხდომა შეეწყვიტა; მაგრამ პროკურორმა ისევ ისურვა თავის სიტყვის გაგრძობა. საზოგადოთ ეტყობოდა, რომ პროკურორი ძალიან აღელვებული იყო, ყვითელი ფერი ედვა)..

„.. ორი დღის შემდეგ, ხუთშაბათს სამხრობისას, სარრა ნახეს მკვდარი დარბაიძეების სოფლის მახლობლად, ყორესთან.. პავლე ცხადაძე და სხვა მოწმეები აჩვენებენ, რომ იმ ადგილას, საცა სარრა მიდიოდა, იმ დროსვე ურიებმა გაიარესო...“

აქ პროკურორი შედგა და სასამართლოს თავსმჯდომარეს გამოუცხადა,

---

ლება“ გამოვთქვამ ერთ ადგილას ორ აზრს.

1, საკვირველი არ არის, რომ ამ ცვლილებაზე (ეხლანდელ ქართულ მწერლობაში) არავინ ხმას არ იღებს.

2, ეს მოხდა იმიტომ, რომ ყოველ საქმეს, ცვლილებასთან მოჰყავს ახალი კაცები. ქართულ მწერლობაში კი ისე წავიდა საქმე, რომ იმის მდგომარეობა თუმცა ძრიელ გამოიცვალა, მაგრამ იმის მედროშენი კი ისევ ისინი დარჩნენ, რომელნიც იყვნენ ადრე. (33 გვ. „ალმ.“ წ. II).

ამ მეორე აზრიდამ „სხარტულის“ დამწერმა გამოჰგლიჯა სიტყვა, მიაკერა პირველ აზრს და ამგვარად მათქმევინა შემდეგი სისულელე:

„საკვირველი არ არის, რომ ამ ცვლილებაზედ არავინ ხმას არ იღებსო, იმიტომ რომ ყოველ ახალ საქმეს, ცვლილებას თან მოჰყავს ახალი კაცები.“ (184 გვ. „ივ.“).

VIII

მე ჩემ ზემოხსენებულ სტატიაში სხვათა შორის ვწუხვარ, რომ ერთ დროს „მთელი ქართული პოეზია ჩ ა ყ ლ ა პ უ ლ ი ი ყ ო „ვარდ და ბულბულის“ „წალკოტის და იადონის“, „ამიყთ ქიკქიკის“ სიმღერებით და არავის არ აგონდებოდა, რომ პოეტი უნდა იყოს ხალხის შვილი და იმისთვის სულდგმულობდეს“.

აქედამ „სხარტულის“ დამწერს გამოჰყავს, რომ პოეზია, ჩემის აზრით, არ უნდა შეეხოს სრულებით „ვარდ და ბულბულს“, „წალკოტს და იადონს“ და ამიყთ ქიკქიკს“. (188 გვ. „ივერია“).

საიდამ სადაო, წმინდაო საბაო.

---

აი ამგვარ სიმართლის მარგალიტებით სავსეა ის ორი ვეებართელა სტატია, რომლებიც „ივერიამ“ მიძღვნა მე და რომლებშიაც ათისჯერ დაცინვით მიძახის, გენიოს და ჭკვიან კაცს.

ხანამ ესეც კმარა, რომ მკითხველმა გაიგოს, რა ლიტერატურულ „შულერობას“ ხმარობენ თავიანთ მოწინააღმდეგეების დასამცირებლათ ის პირნი, რომლებთაგან მოველოდით თუ ცოდნას, შრომას და განათლებას არა, კეთილ-სინიდისიანობას მაინც. ეს პირთ, რომელნიც უნდა იყვნენ თავიანთ ქვეყნის წინამძღოლებათ, ჩადრი წამოუსხავთ და ცდილობენ თავიანთ მოწინააღმდეგის დამარცხებას მხოლოდ ჭორით.

არ მოველოდით, სწორედ მოგახსენოთ, არ მოველოდით!

ბ. თუმანიშვილი

გთხოვთ სხდომა შეაჩეროთ, რადგან სუსტად ვგრძნობ ჩემ თავსაო..

თავსმჯდომარემ ათი მინუტით შეაჩერა სხდომა. როცა ზალიდამ გადიოდნენ, პროკურორს ადამიანის ფერი არ ედვა, ამ წამოწითლებულ, „ჟინჟღილივით“ კაცს ნაცრის ფერი ჰქონდა და კინაღამ იქვე წაიქცა.

საზოგადოებაში ჩურჩული შეიქნა. პროკურორის მეუღლეს გული წაუვიდა..

ურიები ჩუმ-ჩუმად ამბობენ:

— წმ. მოსემ ჩაუგდო, ღმერთმა იცისე ენა!... ღმერთო იზრაილისაო, შენ ხარე, ჩვენი შემწე-ე!..

ერთმა ვილამაც იმახვილა:—ალბათ პროკურორს 9 მარტს სისხლი არ გამოუშვია და იმიტომ შეწუხდა! (იმერეთში 9 მარტს იციან ხოლმე საზაფხულოთ დასაწმენდათ სისხლის გამოშვება).

ერთი საათის შემდეგ დარეკეს ზარი, გამოვიდნენ მოსამართლენი და თავსმჯდომარემ გამოაცხადა, რომ, რადგან უფ. პროკურორი უეცრად ავად გახდა, ამის გამო სხდომა ხვალ დილის 10 საათისათვის გადაიდობაო.

### სხდომა 12 მარტს, დილას.

სასამართლოს ზალა სავსეა მაყურებლებით. ქალები უმრავლესობას შეადგენენ..

სხდომის გახსნამდის გამოვიდა ხმა, რომ პროკურორი ლიდოვი ავათ გახდაო და იმის მაგიერად ბრალდებულ ურიების გამამტყუვნებელად დანიშნულიაო პროკურორის თანაშემწე უფ. მალაჩეევიო.

ამბობდნენ აგრეთვე, რომ სამოქალაქო მოჩივნის (ზარალის მეძიებლის) იოსებ მოდებაძის მხრით უფ. ტიხამიროვი უნდა გამოსულიყო ადვოკატად, მაგრამ სასამართლოს ნება არ მიუციაო, რადგან უფ. ტიხამიროვს სამოქალაქო საქმეების წარმოების უფლება არა აქვს ოლქის სასამართლოშიო.

სხდომა 11 საათზე გაიხსნა.

თავსმჯდომარე აცხადებს, პროკურორის უფ. ლიდოვისაგან ავათმყოფობის ქაღალდი მოგვივიდაო და ამის გამო იმის მაგივრად პროკურორის ამხანაგი უფ. მალაჩეევი არის დანიშნული ბრალდებულების გამამტყუვნებლათაო.

### პროკურორის მალაჩეევის სიტყვა.

უფ. მოსამართლენო! ბევრი მასალა აქვს სასამართლოს იმისთვის, რომ ამ საქმის შესახებ გარკვევითი და სრული აზრი შეიდგინოს: ექვსი დღის განმავალობაში სასამართლო ყურადღებით და გულ-მოდგინეთ იკვლევდა ამ საქმეს; ყოველის მხრით მოწმეებს ჩვენებას ართმევდნენ და სხვ. მაგრამ სასამართლო, ჩემის აზრით, მხოლოთ ბრალდებითს აქტზე უნდა დაფუძნდეს; მოწმების ჩვენება და გამოძიება დაბნეულია და არეულ-გარეული, ბრალდებითს აქტში გამოხატულია სრული და ნამდვილი სურათი დანაშაულისა.

„მოწმების ჩვენებიდამ აღმოჩნდა გარემოება საქმისა:

„შარშან 4 აპრილს სარრა მოდებაძისა გამოვიდა პავლე ცხადაძის სახლიდამ; იმავე დროს ჯერ ოთხმა ურიამ და მერე სამმა ჩაიარეს იმის სახლის მახლობლად საჩხერის (საძაღლიხევის) გზაზე. არიან მოწმები, რომელნიც უჩვენებენ, რომ ნახეს, ურიები ხურჯინს თავს უკრავდნენო; სხვა მოწმებმა გაიგონეს ბავშვის ხმა; მიაქციეს ყურადღება ხურჯინს და ნახეს, რომ ბავშვის ხმა იქიდამ ამოდიოდა. თვითონ საჩხერეშიაც რამდენმემე მოწამემ გაიგონა ბავშვის ხმა სწორეთ იმ დროს; როდესაც იმათთან ჩაიარეს ურიებმა. ყველა მოწმები ერთხმად, უჩვენებენ, რომ ხურჯინის ერთს თვალში თხა იყოვო; მეორეში რა იყო, ეს კი არავის უნახავს გარდა ორის მოწმისა, რომელნიც დაბარებულნი არიან თვითონ ბრალდებულებით. მაგრამ ამ ორ მოწვის ჩვენებიდამ მტკიცდება ბრალდებულთ დანაშაული: ერთი ამ მოწმებთაგანი ამბობს, მე ვნახეო, რომ იმ თვალში ლცბიო იყოვო, მეორე კი ამტკიცებს, რომ იმ თვალში იყოვო ძველი ახალუხი და ჯამები! თვითონ ბრალდებულნი კი ამბობენ, რომ ხურჯინის ერთს თვალში მართალია თხა იყოვო, მაგრამ მეორეში კი ბატები მოგვყავდაო!

„გაიხსენეთ ამასთანავე, უფ. მოსამართლენო, უეზდის მარშლის თ. სიკო წერეთლის ეზოში შემოვარდნილი ურია, რომელმანც პირ-და-პირ აღიარა, რომ ჩვენები ქრისტიანის ყმაწვილს აწვალებენო, თ. სიკოს უნდა უთხრა ჩემის გულის-პასუხიო.

„ბოლოს სარრას გვამი იპოვნეს. რამდენიმე მოწმის ჩვენებიდამ ვიცით, რომ იმ ადგილას, საცა გვამი იპოვნეს, წინა დღეს ეძებნათ, ყოფილიყვნენ სხვათა შორის მწყემსები, მაგრამ ვერაფერი ვერ ეპოვნათ.

„მოწმებმა დაამტკიცეს აგრეთვე, რომ იმ გვამთან საჩხერის გზიდამ მოდიოდა ორი ცხენის კვალი; შემდეგ სასამართლომ უნდა მიიღოს მხედველობაში, რომ ხუთშაბათ დილით განთიადისას ორმა მოწამემ ნახა დარბაიძეებიდამ უკან დაბრუნებული მოშა ცოციაშვილი და ერთიც ვილაც უცნობი ურია, რომელთაც უნახეს ცხენზე ცარიელი დიდი ხურჯინი.

„მოწმების ჩვენებიდამ ცხადათ გამორკვეული და დამტკიცებული შეიქნა აგრეთვე ის ფაქტიც, რომ რამდენსამე ალაგას, საცა ამ შვიდმა ურიამ ჩაიარა, გაიგონეს გაგუდული ბავშვის ხმა..

„აი სრული სურათი დანაშაულობისა. აი საბუთები, რომლებზედაც დამყარებულია გამამტყუვნებელი აქტი და რომელნიც დამტკიცებული იქმნენ გამოძიების დროს აქ, სასამართლოში.

„სასამართლოს საქმეა ახლა—მიიღოს ეს საბუთები ანუ უარ-ჰყოს. ძნელად წარმოსადგენია სხვა რომელიმე მიზეზი სარრა მოდებაძის სიკვდილისა. ექსპერტების, ექიმების ჩვენებით გვინდოდა აგვეხსნა საქმე. ექიმმა ზერნომ სთქვა, რომ ბავშვი დამღრჩვალი უნდა იყოსო; ქვიშა და სხვა ამისთანა ნიშნები ვნახეო. ამის დარღვევა ადვილია, თუ წარმოვიდგენთ, რომ ჩვენში, ქრისტიანებში, დასაფლავებამდინ უეჭველად გაზანენ ხოლმე ადამიანს. არც ექიმის უფ. ზულბინსკის აზრს უნდა მიეცეს ბევრი მნიშენელობა. იმის აზრი, რომ 15 ვერსზე, პერევისიდამ საჩხერემდინ, ხურჯინში ჩამწყვდეულს ბავშვს ცოცხლად ვერ მიიყვანდნენ და მთელი სხეული დალურჯებული ექნებოდაო, რასაკვირველია, ჭკუაში მოსასვლელი აზრი არ არის; თუ ასე იყოს, კაცს თავის დღეში ვერ შეეძლო ცხენით 30—60 ვერსის გავლა, რადგან ამ შემთხვევაში იმას სრულიად დაულურჯდებოდა და დაებეგვებოდა ის ნაწილი სხეულისა, რომლითაც ის ზის უნაგირზე...

„უკანასკნელი სიტყვა ჩემი იქნება დანაშაულის მიზანზედ, მოტივზედ. ეს მიზანი—თუ რისთვის მოიტაცეს ბრალდებულ ურიებმა ბავში—არ არის გამოკვლეული და დამტკიცებული. ჩვენ ამაზედ ვერაფერს ვერ ვიტყვით, რადგან ეს მიზანი ბრალდებით აქტში არც კი არის მოხსენებული. სარწმუნოების, ურიების რელიგიურს დოღმატზე აქ ლაპარაკი არ იქნება.. მაშასადამე მიზანი უნდა ვეძიოთ სხვა რომელსამე გარემოებაში: ბავშის მოტაცება იშვიათად არ ხდება ჩვენში: ზოგიერთები იტაცებენ იმ განზრახვით, რომ ოსმალოში გაჰყიდონ, ზოგს თფილისში მიჰყავს და იქ ჰყიდის—რისთვის, ეს თქვენც იცით.

„ამ საფუძვლებით მე ვთხოულობ, რომ ბრალდებულნი, შორაპნის უეზდის დაბა საჩხერის მცხოვრები ურიები: ისხაკა, ბიჭია, შამუელა და მარრახა ხუნდიაშვილები, ისხაკა, მოშა, და იაკობა წვენიაშვილები, ზემო-მოყვანილი დანაშაულობისათვის, დასჯილნი იქმნენ ყოველი ღირსების ჩამორთმევით და ათი წლის ციმბირში გაგზავნით კატორღაში და მიხაკა ელიკაშვილი საპყრობილეში ექვსი თვით.“

პროკურორის სიტყვის შემდეგ სხდომა ½ საათით შეაჩერეს.

(გაგრძელება)

---

## წერილი რედაქტორთან

უფალო რედაქტორო!

თქვენს გაზეთში ბევრჯელ თქმულა ეხლანდელი ქალის უსამართლო და საზარელ საზოგადოებრივ მდგომარეობაზედ. მაგრამ არაოდეს ეს უკიდურესი უსამართლობა და გულის განმგმირი საცოდაობა არ წარმომდგარა ხალხის წინ ისე აშკარათ, ისე პირ-უთნეველად, როგორც ამ შემთხვევაში. წარმოიდგინეთ შემდეგი სურათი:

ახალგაზრდა ქალი, პატრონი ოთხის პატარა ბავშვებისა, რომელსაც მიუძღვის წინ: სათნოება, სიმშვიდე, კრძალვა—ვიტყვი მეტს—მონებრივი მორჩილება ქმრისა, რეპუტაცია ყოვლად პატიოსანის და თავდაცულის დედისა, რომელსაც ერთი ბოროტი ენაც ვერ შეხებია თვის გესლითა, და მთელი იმ

სოფლებისათვის სამაგალითო და თაყვანის საცემელი არის მისი ყოფაქცევა, —წარმოიდგინეთ ამისთანა ადამიანს ერთს დღეს უშფოთველად, გულდასმით უცხადებს მისი ძვირფასი მეუღლე დამსახურებული გადამდგარი თავადი რომ: „მე შენ აღარ მინდებხარო!“

ადვილად გასაგებია, თუ როგორს ზედმოქმედებას იქონიებდა საბრალო ქალზე ეს მოულოდნებელი ამბავი! ამ წამიდგან შეიქნა ეს მსხვერპლი საზოგადოებრივის წყობილებისა: გაკიცხული, გაგდებული, იმედ-მოწყვეტილი მომავალზედ და სრულიად უნავთ-საყუდრო ქმრისაგან. მაგრამ საბრალო დედას ერთილა ნუგეში კიდევ დარჩენოდა, ერთილა გრძნობა კიდევ ათბობდა და აძლევდა ძალას მის დაჩაგრულს გულს:

ეს გრძნობა იყო—შვილების სიყვარული. ამითი ჰფიქრობდა ის სიცოცხლეს, მხოლოდ შვილების მოვლითა და მათი მზერით დატკბობა-ღა იყო დედისთვის ერთად-ერთი სინათლე იმ ბნელში, რომელშიაც მისი სული იმყოფებოდა. მაგრამ, თითქოს, ამ უბედური კაცის გულში თითონ სატანა დაბუდებული იყოს, თითქოს მისი გული კლდეთ გადაქცეულიყოს, და არც ერთი პატივსაცემელი და უწმინდესი გრძნობანი მისთვის გასაგები აღარ იყოს, წარმოიდგინეთ მძვინვარება ქმრისა—ის შვილების გატანებაზედაც კი უარს დაადგა. ვერც ნათესავების ვედრებამ და ცრემლებმა, ვერც ხალხის დრტვინვამ და ლანძღვამ (ამ სოფელში ასიოდე თავადიშვილია და შვიდასამდე გლეხი) ვერ გახარეს ამ კაცის ერთხელ წარმოთქმული ჯიუტური და ულმერთო აზრი.)

ამ ნაირად, ძმებმა წაიყვანეს ქალი თავის სახლში, მარტო. მე ვეღარ ავსწერ იმ საზარელ სცენას, რომელიც დედის და პატარა ბავშვების გამოთხოვების დროს იქ იყო! ადამიანი ერთობ ძვირად შეხვდება უარესს სისასტიკეს ცხოვრებაში, თითონ შექსპირსაც არა აქვს ხშირად თავის თხზულებებში მომეტებული დრამატიზმი! თვით ფრანჩესკო ჩენჩი მისის გასაოცარის კაცობრიობის თვისებებიდგან გასული—უმანკოება არის ამ ფენომენალურ ქმარძამასთან! ეს თვალსაჩინო და ყურადღების მიმზიდველი შემთხვევაა, იმისთვის რომ დიდს სოფელში მოხდა და მოქმედნი პირნიც საკმაოდ გამოჩენილი გვარისა და მდგომარეობისა არიან.

მაგრამ წარმოიდგინეთ თქვენ რა ამბები ხდება უფრო შორს, მიყრუებულს ადგილებზედ, სადაც დედაკაცის უფლება და ერთი მამებარი ძაღლის უფლება თანასწორია?! კანონს რომ მიმართოთ, რას გეტყვისთ კანონი?—სრულიად ვერაფერს. ვერც ერთი ის ზომები, რომელსაც იხმარს კანონი ამ შემთხვევაში, ვერ იხსნის ქალს უსამართლოებისაგან. მაშ ვისი ვალია მიილოს საფარველს ქვეშ ქალის ესრეთი შემაძრწუნებელი სოციალური მდგომარეობა, თუ არა ლიტერატურის წარმომადგენელთა? მე მგონია, არც ანდრეევსკის ქალის საქმე, არც სხვა მრავალი ამისთანანი არ უნდა იყოს უფრო საყურადღებო და ჩამაფიქრებელი თავის შედეგებითა, ვიდრე ეს უბედური დედაკაცის ბედი ჩვენს ვითომ განათლებულს საზოგადოებაში?!..

მართალია, ძალათ ცხოვრება ადამიანთან, თუ გინდ ცოლთანაც, ურიგობა და უსამართლო მოთხოვნილებაა; მაგრამ მარტო ცოლს რისთვის უნდა დააწვეს ყოველი სიმძიმე და გაჭირვება განშორების გამო? რისთვის უნდა დარჩეს ქალი გარეთ გაგდებული, ულუკმაპუროთ და ყოველი მისი უწმინდესი გრძნობანი შეგინებულ იქნეს?

ერთში ორი უნდა იყოს: ან ძველი წესი უნდა სუფევდეს საზოგადოებაში, ან ახალი. მაგრამ არა მგონია, რომ ჩვენს მამაპაპებთ მზგავსი უფლება ჰქონოდესთ, როგორიც დღეს შემოდის პრაქტიკაში. არა მგონია აგრეთვე, რომ ან ევროპიული ჰუმანური წესი იყოს უმანკო და კეთილშობილი დედის ბჭისკარს გადაღმა გადიშვებს [illegible] და ამასთან ავაზაკურათ გულ-მეწუხებული დედის მკერდიდგან აზლაგლებული წვრილი შვილების აგლეჯა?! მაშ ჩვენი ცხოვრება სხვა გვარ კალაპოტში ჩავარდნილა, რომლის ახსნა და გამორკვევა უმჯობესისა—მიმინდვია თქვენთვის..

?

ქუთაისი, 13 მარტს.


# განცხადებანი

გამოვიდა და ისყიდება

## „ბუტიაობა“

ვოდევილი

აკაკი წერეთლისა

ისყიდება: ჩარკვიანის, შართანოვის და მრიქეროვის წიგნის მაღაზიებში, აგრეთვე უფ. შავერდოვის გაზეთის სააგენტოში—ბულვარზე.

ქუთაისში—უფ. ძ. მესხის წიგნის მაღაზიაში.

ფასი—ერთი აბაზი.

უფ. გ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში და აგრეთვე ქუთაისში—უფ. ძ. მესხის მაღაზიაში ისყიდება

## „ვაი ჭკუისაგან“

კომედია ოთხ მოქმედებად გ რ ი ბ ო ე დ ო ვ ი ს ა. ნათარგმნი გრ. ა. წინიმძღვაროვის-მიერ.

ფასი—ექვსი შაური

## „ჰაერ ოსტატი“

კომედია ოთხ-მოქმედებად, თხზულება მ. ჯორჯაძისა


| რკ. გზა. | დილა. | | საღამ. | | II კ. | | III კ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| თფილისი | 9 | 21 | 5 | 18 | მ. | კაპ. | მ. | კაპ. |
| მცხეთა | 10 | 11 | 6 | 27 | - | 85 | - | 44 |
| გორი | 11 | 58 | 9 | 43 | 3 | „ | 1 | 53 |
| ხაშური | 1 | 29 | 11 | 57 | 4 | 73 | 2 | 42 |
| სურამი | 1 | 44 | | | 4 | 90 | 2 | 61 |
| ყვირილა | 5 | 49 | | | 7 | 21 | 3 | 69 |
| რიონი | 6 | 57 | | | 8 | 44 | 4 | 31 |
| სამტრედია | 7 | 51 | | | 9 | 66 | 4 | 93 |
| ახალ-სენაკი | 8 | 43 | | | 10 | 71 | 5 | 47 |
| ფოთი | 9 | 50 | | | 12 | 24 | 6 | 26 |
| ფოთი | 9 | 3 | | | | | | |
| ახალ-სენაკი | 10 | 14 | | | 1 | 53 | - | 78 |
| სამტრედია | 11 | 5 | | | 2 | 61 | 1 | 33 |
| რიონი | 12 | 13 | | | 3 | 84 | 1 | 97 |
| ყვირილა | 1 | 18 | ღამე. | | 5 | 3 | 2 | 56 |
| სურამი | 5 | 12 | 1 | 10 | 7 | 34 | 3 | 74 |
| ხაშური | 5 | 39 | 1 | 37 | 7 | 51 | 3 | 84 |
| გორი | 7 | 5 | 4 | 8 | 9 | 24 | 4 | 73 |
| მცხეთა | 8 | 50 | 6 | 59 | 11 | 39 | 5 | 82 |
| თფილისი | 9 | 31 | 7 | 56 | 12 | 24 | 6 | 26 |

| ტელეგრაფი | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ოცი სიტყვა თფილისიდამ: | | |
| კავკასიის აქეთა მხრის ყველა ქალაქებში | — | 50 |
| როსტოვს, ოდესას, მოსკოვს | 2 | — |
| პეტერბურღს, ვარშავას | 2 | — |
| ოსმალეთში, შვეიცარიაში | 3 | — |
| იტალიაში და საფრანგეთში | 3 | 50 |
| ინგლისში | 3 | 75 |

**ფოშტა**

ა) თფილისიდამ: საზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და ხუთშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. კახეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.

| წიგნის გაგზავნა რუსეთში და საზღვარ გარეთ: | კაპ. |
|---|---|
| ლოტი წიგნის | 4 |
| დაზ. წერილის (სამი მისხალი) | 8 |

| მაზანდა | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| თფილისი, 15 მარტს. | | |
| ფქვ. თეთ. განჯისა, ფუთ. | 1 | 60 |
| ფქვილი წითელი ფ. | 1 | 40 |
| ქერი ფუთი | 1 | 10 |
| ბამბა ერევნისა, ფუთი | 7 | 40 |
| —ამერიკისა, ფუთი | 8 | 50 |
| გაპენტილი ბამბა ფუთი | 9 | 70 |
| მატყლი თუშური ფუთი | 6 | 50 |
| —თარაქამისა ფუთი | 3 | 80 |
| აბრეშუმი ნუხური სტ. | 2 | 10 |
| ქონი, ფუთი | 5 | 30 |
| ქონის სანთელი ფუთი | 7 | 55 |
| სტეარინის სანთელი, ფუთ. | 12 | 55 |
| ხორცი ძროხისა, ლიტ. | -1 | 8 |
| —ცხვრისა, ლიტრა | 1 | 8 |
| სპირტი ვედრო | 4 | 60 |
| შაქარი, ბროც. ფუთი | 7 | 45 |
| —ფხვნილი ფუთი | 5 | 60 |
| ყავა გრძელი, გირვ. | — | 65 |
| ზეთი ქუნჯუთისა ფუთი | 11 | 70 |
| თამბაქო, ხაშური ფუთ. | 6 | 80 |

**თფილისის სამკურნალო.**

ერევნის მოედანზე, წინამძღვაროვის სახლებში.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველს დღე დილის 9 საათიდამ 1-მდის.

ორშაბათს: ვერმიშევი და გარლევიჩი—შინაგ. ავათ., ქიუნარიანცი—ქალის ექიმი და საშვილოსნოს ოპერაციები.

სამშაბათს: ვერმიშევი—შინაგ. ა. ბახუტოვი—საბებიო და ბავშვის. პეუნოვი—თვალის.

ოთხშაბათს: ვერმიშევი შინაგანი ავათმყოფობის.

ხუთშაბათს: ვერმიშევი—შინაგ., ქიუნარიანცი—სიფილიტიკური და საშარდე ორგანების.

პარასკევს: ვერმიშევი—შინაგ., ა. ბახუტოვი—საბებიო, ქალისა და ბავშვების.

შაბათს: ვერმიშევი შინაგ., და პეუნოვი—თვალისა.

Дозволено цензурою. Тифлисъ 15 Марта 1879 г. Типографія Меликова. გამომც. ე. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი.